PDF Eraser Free

დანართი №2

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №279136 (24.03.2021წ) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. ქეთევან გელაშვილი - წევრი

ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების დისტანციურად განხორციელება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ 2021 წლის 18 და 19 მარტს წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის „ბაღის დიზაინი“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების (განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები) დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 16 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება (გასაუბრების განრიგი დასკვნას თან ერთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულება იმატებს ახალ საგანმანათლებლო პროგრამას.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია ბაღის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტის“ დირექტორის 2021 წლის 18 მარტის ბრძანება N 04-31 „ბაღის დიზაინის“ მე-4 დონის და „საფინანსო სერვისების“ მე-3 დონის პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ა(ა) იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ქ.ოზურგეთი რუსთაველის N 8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 სტუდენტი ა(ა) იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ქ. ოზურგეთი რუსთაველის N 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	140
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	155
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. ა(ა) იპკოლეჯ „ჰორიზონტის“ მისიაა თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის, ტურისტული პოტენციალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას. დაწესებულებას დატკიცებული აქვს 2019-2025წწ სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის „ბაღის დიზაინის“ დამატების საკითხი. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია ინტეგრირებული სწავლების დანერგვა კოლეჯში. გამომდინარე იქიდან, რომ ინტეგრირებული სწავლება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგენს 2013- 2021 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთერთ ამოცანას. ვინაიდან განათლების სისტემაში დაინერგა ამ ჩიხის აღმოფხვრის საშუალება ინტეგრირებული სწავლების სახით, კოლეჯის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს ახალ პროცესებში და უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ინტეგრირებული სწავლების დანერგვით; დაწესებულებამ წარმოადგინა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელიც ეფუძნება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად ვითარდება ტურიზმის სფერო. მხოლოდ 2017 წელს გაიხსნა 108 ახალი ობიექტი. მათ შორის სასტუმრო, რესტორანი, სარეკრეაციო სივრცე და ა.შ. დაწესებულებას ჩატარებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

დამსაქმებელთან კვლევა და კვლევის საფუძველზე რეგიონში ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად სწორედ „ბაღის დიზაინი“ სახელდება.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილ „ბაღის დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი პროგრამის დანართი N1 სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლებაზე და საბაზო განათლების მქონე პირი დანართი N2 სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინტეგრირებულ სწავლებაზე. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელ წესში“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-70) განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილ წესებს. (ცვლილება N 28.05.2020 N 59-ნ). საგანამნათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N 32/დ ა(ა) იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში გაწერილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები, კერძოდ: დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: სასწავლო გარემოს ფართი, დაწესებულების მუშაობის გრაფიკი (დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც), პროგრამის ხანგძლივობა და სპეციფიკა; მოდულური პროგრამის მოთხოვნადობა სამუშაო ბაზარზე და აპლიკანტთა მხრიდან.

„ბაღის დიზაინის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა ბაღის დიზაინის“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა A გარემო თეორიული სწავლებისათვის, B და C გარემო პრაქტიკული მეცადინეობისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების კვოტის განსაზღვრის დოკუმენტით დგინდება, რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს 2 A გარემო (46.9 კვ. მ და 34,5კვ.მ) 2 B გარემო (46.9 კვ. და 35,2). თითოული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. ინტეგრირებული მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განსახორციელებელი ლაბორატორია ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი. დაწესებულების მიერ ბაღის დიზაინის პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტაა 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემოები ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებელი ლაბორატორია. აღნიშნული გარემოები და ლაბორატორია უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

6. ა(ა) იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ წესდების მიხედვით (მუხლი 5 ქვეპუნქტი „ვ“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გამოსცემს ბრძანებებს. დაწესებულებას N 04-68 ბრძანებით (29.05.2020) დამტკიცებული აქვს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები, რომლის მუხლი 2-ით (მე-5 ქვეპუნქტი) განსაზღვრულია, რომ მოდულურ პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო დასამტკიცებლად წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2021 წლის 18 მარტის N 04-31 ბრძანებით.

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია საგანამანთლებლო სტანდარტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. შესაბამისად,

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტი (საგანმანათლებლო სტანდარტი) „ბაღის დიზაინი“, სარეგისტრაციო ნომერი: 08111-პ; და საქართველის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ (დირექტორის ბრძანება N 04-31 18.03.2021);
- სასწავლო გეგმა 1; სასწავლო გეგმა 2;
- ა(აი)პ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტის“ წესდება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდ წლიანი 2019-2025 წწ;
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N32/დ 17.08.2018);
- პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 04-68 29.05.2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ინტერვიუირება კოლეჯის წარმომდგენლებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დისტანციური ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „ბაღის დიზაინის“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება პსდ-ს მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. ბაღის დიზაინის პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას 4 ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 8 პროფესიულ მასწავლებელთან, პროფესიული დარგობრივ მოდულებზე - 8 პროფესიულ მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 17 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას დაწესებულება ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, კალენდარული გეგმის შედგენა და სხვ. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ ხელშეკრულებებშია გაწერილი არ სცდება დაშვებულ ნორმას.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროფესიულმა მასწავლებლებმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვა. დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება ხორციელდება ერთის მხრივ დაწესებულების შიდა რესურსით, ხოლო მეორეს მხრივ მათ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგები. სრული პედაგოგიური კურსი: I მოდული: სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში; II მოდული: პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში; III მოდული: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები; IV მოდული: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში; V მოდული: პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პროფესიული განვითარება. ინტეგრირებული მოდულების სერთიფიცირებული განმახორციელებლები კონკურსის წესით იქნენ შერჩეულნი კოლეჯში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ხელოვნების ფაკულტეტის სახვითი და გამოყენებითი ცენტრის მონუმენტური მოხატვის კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის დიპლომი და პროფესიით მუშაობის გამოცდილება 7 წელი.
დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (19.03.2021 სამუშაო შეხვედრის ოქმი), რომელიც გულისხმობს დარგობრივი კვალიფიკაციის ქონას ან მუშაობის სამწლიან გამოცდილებას.
პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტების მიერ დისტანციურად ვიზუალური დათვალიერებისას გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.
ექსპერტთ შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6.ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ წესდების მეორე მუხლის დ ქვეპუნქტში გაწერილია, რომ დაწესებულება ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების პირობების შესაქმნელად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მომსახურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანება N30დ 16.08.2018). აღნიშნული წესის მიხედვით სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიერ სრულფასოვანი განათლების მიღებაში აქტიურადაა ჩართული: ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; სსსმ პირების ასისტენტი; პედგოგი, ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერები. დაწესებულებას ამავე წესში აქვს გაწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საფუძვლები და წესი. პროფესიული სტუდენტისთვის დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება ამის საჭიროება. როდესაც სსსმ პირი, რომელიც სწავლობს პოფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ვერ აღწევს სწავლის შედეგს, პროფესიული განათლების მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიმართავენ ხარისხის მენეჯერს, რომლიც ქმნის სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მენეჯერი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, პროფესიული მასწავლებელი და სსსმ პირების ასისტენტი არსებობობის შემთხევაში. სამუშაო ჯგუფი 10 მეცადინეობის მანძილზე აკვირდება სასწავლო პროცესს და დებს დასკვნას საჭიროა თუ არა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირება. პროფესიული სტუდენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობს ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მოდულის მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალსიტი, სსსმ პირების ასისტენტი არსებობის შემთხვევაში.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელურ სტუდენტთა რაოდენობა. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილში ვაუჩერი პროფესიულ სტუდენტზე და პროგრამული დაფინანსება ჯამში - 59678 ლარი ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას (31875 ლარი); სასწავლო მიზნისთვის გაწეულ ხარჯს (5443,4); ადმინისტრაციის ხელფასს (9172 ლარი) და სხვადასხვა ხარჯს (3281 ლარი) რენტაბელობის ზღვარი არის 10 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ (დირექტორის ბრძ. N 04-31 18.03.2021);
- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- „ სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანება N30დ 16.08.2018);
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N32/დ 17.08.2018);
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის მიმდინარეობის ცალკეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა, პროგრამის შესაბამის ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე.

შრომის ბაზრის კვლევა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, რომელიც გამოავლენს საუკეთესო ადგილობრივ/საერთაშორისო პრაქტიკას, აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას. ანალიზის მასალები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 04-68 29.05.2020) სადაც გაწერილი საგანამანათლებლო პროგრამი განვითარების მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების,შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილებების ინიცირება (სამუშაო ოქმის სახით) შეუძლია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამი ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პირს, პროფესიულ სტუდენტს. ინიცირება უნდა იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი წერილობითი სახით.

დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისი ბრძანება N04-77 ” სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება ა(ა)იპ პროფეასიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ კითხვარები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 59 სასწავლო კვირა, 85 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 82 სასწავლო კვირა 100 კრედიტის ოდენობით. ინტერგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 120 სასწავლო კვირა, 140 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 142 სასწავლო კვირა 155 კრედიტის ოდენობით.

გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. წინაპირობიანი მოდულები ერთი კვირის დაშორებით იწყება. სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში, გაწერილია წინაპირობიანი მოდულის განმეორებით ჩაბარების ვადები. უარყოფითი შედეგის მიღების შემთვევაში პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ. მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი პროფესულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურება/არდადასტურების შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს სამი დღისა (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა).

პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განაცხადით. (წინმსწრები მოდულის შემთხევაში იმავე დღეს). კოლეჯის დირექტორი ორი სამუშაო დღის ვადში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს (საკმარისი/ავთენტური მტკიცებულებების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება) და მიღებულ გადაწყვეტილებას არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯრი აცნობებს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს.

პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. „მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისას და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანება N04-68 29.05.2020) დოკუმენტის მე-4 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3.„ბაღის დიზაინის“ პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ზრუნავს პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარება/კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4.კოლეჯი პროფესიული პროგრამების შეფასებას ახორციელებს პროფესიული პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საშუალებით. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრები რეგულარულად ესწრებიან ლექციებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, მეცადინეობებზე და შეფასებაზე დასწრების ფორმების საშუალებით, ასევე აწარმოებენ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას შემუშავებული კითხვარის საშუალებით, საჭიროებისამებრ ხორციელდება ჯგუფის წევრები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, შეხვედრის მიზანია სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზის დაგეგმვა/განხორციელება. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5. მოდულისთვის „გაცნობითი პრაქტიკა - ბაღის დიზაინი“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შ.პ.ს „ურეკი რეზიდენსთან“, რომელიც გულისხმობს აღნიშნული მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის მასპინძლობას და სტუდენტებისთვის სამუშაო გარემოს და პროფესიის სპეციფიკის გაცნობას. სხვა სახის პრაქტიკას საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს და შესაბამისად ხელშეკრულებას პრაქტიკის ობიექტთან არ საჭიროებს

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ სპეციფიკა და სასწავლო გარემო უსაფრთხოების რაიმე განსაკუთრებულ პირობებს არ ითვალისწინებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):.

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესი (დამტ. 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-70)
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ (დირექტორის ბრძ. N 04-31 18.03.2021)
- სასწავლო გეგმა;
- ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ მოდულური პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ (დამტკიცებული დირექტორს ბრძანება N 04-68 29.05.2020);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში (დამტ.2020 წლის 29 მაისს) გაწერილი აქვს შეფასების სისტემის მიმართ არსებული მოთხოვნები. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭირვალე,სამართლიანი და ობიექტური.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

2. დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში (დამტ.2020 წლის 29 მაისს) გაწერილი აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებული ფორმებით. ხარისხის მენეჯერივე განსაზღვრავს ვერიფიკატორს ან ვერიფიკატორთა ჯგუფს რომელიც ჩართული იქნება ვერიფიკაციის პროცესში. ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოა შედიოდეს იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციაც ხორციელდება. დაწესებულება ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით, ესენია: შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.დაწესებულებას სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის შიდა მარეგულირებელ წესში (დამტ. 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-70) გაწერილი აქვს, რომ პროფესიული მასწავლებელი პროფესიული სტუდენტის სწავლის შეფასების უწყისს აწარმოებს ელექტრონულად, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ ამობეჭდილ და ხელმოწერილ უწყისს არაუგვიანეს ათი დღისა (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს ერთი კვირისა) აბარებს დამხმარე თანამშრომელს, რომელიც შევსებულ უწყისებს და შეფასების მტკიცებულებებს გადასცემს საკვალიფიკაციო კომისიის მდივანს. პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადაა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წელი.

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ექსპერტთ შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის ბრძანება N04-77 „სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის მაისის ბრძანება N 04-70 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტი“ „სასწავლო პროცესის და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის ბრძანება „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს ხარისხის მართვის
- სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N04-70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ”
- მოდულის განხორციელების და შედეგის დადასტურების შეფასების კითხვარები
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ს დირექტორის 2018 წლის 16 აგვისტოს ბრძანება ა(ა)იპ პროფეასიული კოლეჯი „ჰორიზონტი“-ში მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2020 წლის 29 მაისის ბრძანება N 04-68 „ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოდულური პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების წესის და პროცედურების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი

13.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---